სიღნაღის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების

დოკუმენტი

2023 წ

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სიღნაღის მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2020 - 2023 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- თავდაცვა და უსაფრთხოება;

დღეს, ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულმა კრიზისმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად. პანდემიამ გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

გამოწვევებთან ერთად, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე იქნება მიმართული როგორც ქვეყნის, ასევე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკა შემდგომი 4 წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი (ყოფ. სიღნაღის რაიონი) — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. მუნიციპალიტეტს

ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით საზღვრავს გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ესაზღვრება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი და აზებაიჯანის რესპუბლიკა. ფართობი 1251,7 კმ². სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 93 375 ჰა უკავია, ხოლო ტყის რესურსი შეადგენს 5500 ჰა-ს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფა ჰავის რამდენიმე ტიპი. ივრის ზეგანზე განვითარებულია ზომიერად ნოტიო სტეპების ჰავა. აქ ზაფხული ცხელია, ზამთარი კი ცივი, ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი. გომბორის ქედზე ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავაა, ზამთარი აქ ცივია, ხოლო ზაფხული ხანგრძლივად თბილი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 11 °C-იდან 13 °C-მდე. ნალექების მინიმუმით ხასიათდება ივრის ზეგანი სადაც წლიურად 400-500 მმ ნალექი მოდის. შედარებით მეტი ნალექი მოდის გომბორის ქედზე— 810 მმ წელიწადში.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროგრაფიული ქსელი მწირია. არის პერიოდული ხასიათის მდინარეები. მდინარეებიდან აღსანიშნავია ალაზანი და იორი. ალაზანი მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოედინება ლაგოდეხისა და აზერბაიჯანის საზღვართან. მდინარე იორი კი ივრის ზეგანს კვეთს სამხრეთ ნაწილში.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მდგომარეობით შეადგენს 29 948 კაცს. მუნიციპალიტეტში 20 დასახლებაა, მათ შორის არის 2 ქალაქი და 18 სოფელი. ქალაქების მოსახლეობა შეადგენს 6300 კაცს, სოფლად დასახლებულია 23 648 კაცი. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 23,93 კაცი/კმ², რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) საკმაოდ ჩამოუვარდება. სიღნაღის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: სოფლის მეურნეობა, მცირე ბიზნესი და საბიუჯეტო ორგანიზაციები. წარსულში ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობა და წარმოება. მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების გეგმა აქვს, რომლის ძირითადი პრიორიტეტია ტურიზმი.

ისტორია

სიღნაღის მუნიციპალიტეტი 1917 წლიდან სიღნაღის მაზრის სახელწოდებას ატარებდა, 1928 წლიდან მუნიციპალიტეტი კახეთის მაზრაში შედიოდა, 1929 წლიდან კი კახეთის ოლქში. 1930 წლიდან ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. 2007 წ 18 ივნისიდან კი იწოდება ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტად“

რელიეფი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი უჭირავს ივრის ზეგანს, სიღნაღის მუნიციპალიტეტში შემოდის გომბორის ქედის მცირე მონაკვეთი, რომელიც აგებულია ნეოგენური ქვიშაქვებით, კონგლომერატებითა და თიხებით.

შიგა წყლები

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ჰიდროგრაფიულ ქსელს მოკლებულია. აქაურ მიწაზე გვხვდება ძირითადად პერიოდული ხასიათის მდინარეები. . გამოსაყოფია ორი მდინარე ალაზანი და იორი. ალაზანი მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოედინება ლაგოდეხისა და აზერბაიჯანის საზღვართან,აქ მდინარეს კლაკნილი მიმართულება აქვს მდინარე იორი ივრის ზეგანს კვეთს სამხრეთ ნაწილში.

ჰავა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფა ჰავის რამდენიმე ტიპი.ივრის ზეგანზე _____ განვითარებულია ზომიერად ნოტიო სტეპების ჰავა, აქ ზაფხული ცხელია, ზამთარი კი ცივი. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი.

გომბორის ქედზე ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი ჰავაა, ზამთარი აქ ცივია ხოლო ზაფხული ხანგრძლივად თბილი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 11,1 °C-იდან 12,6 °C-მდე. აბსოლუტური მინიმუმი - 24 °C, მაქსიმუმი 37-40 °C.

ნალექების მინიმუმით ხასიათდება ივრის ზეგანი, სადაც წლიურად 400-500 მმ ნალექი მოდის. შედარებით მეტი ნალექი მოდის გომბორის ქედზე - 810 მმ წელიწადში.

ნიადაგები

ივრის ზეგანზე განვითარებულია მცირე და საშუალო სისქის შავმიწები, აგრეთვე წაბლა ნიადაგები დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების კომპლექსით.

გომბორის კალთებსა და მთისწინეთში გაბატონებულია ტყის ყავისფერი ნიადაგები. ალაზნის ვაკეზე გვხვდება ტყე სტეპის გარდამავალი ზოლის შავმიწისებრი ნიადაგები.

ლანდშაფტები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფა ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

1. ჯაგეკლიანი სტეპური ვაკე ჰალოფილური მცენარეულობით შავმიწისებურ ალუვიურ და დამლაშებულ ნიადაგებზე.
2. ტყის ყავისფერი ნიადაგები გამოზიდვის კონუსებით ჯაგ-რცხილნარითა და ჯაგეკლიანი სტეპებით;
3. ვაკე ტაფობები სტეპის მცენარეულობით შავმიწა და წაბლა ნიადაგებით;
4. რუხ ყავისფერი ნიადაგები არიდული მცენარეულობით;
5. ტაფობები ჰალოფილური მცენარეულობით;
6. ტყის ყავისფერი და ყომრალი ნიადაგები მუხნარ რცხილნარით;
7. ტუგაის ტყის ლანდშაფტი.

ფლორა და ფაუნა მრავალფეროვანია

მოსახლეობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განსახლების ზონა ვრცელდება ზღვის დონიდან 300-800 მ ფარგლებში. უმეტესად ქართველები ცხოვრებენ, მცირე რაოდენობით არიან სომხები და რუსები და სხვ.

აღწერის მონაცემები

აღწერის წელი	მოსახლეობა
1989	49 326
2002	43 584

2014	29 948

მმართველობა

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო აღმასრულებელო ორგანო — მერია. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებია:

- *ქალაქის საკრებულო* — 2: სიღნაღი და წნორი
- *თემის საკრებულო* — 4: ბოდბის თემი, საქობოს თემი, ქვემო მაჩხაანის თემი, ჯუგაანის თემი;
- *სოფლის საკრებულო* — 8: ანაგა, ბოდბისხევი, ვაქირი, ილიაწმინდა, მაღარო, ნუკრიანი, ტიბაანი, ძველი ანაგა.

ადმინისტრაციული ერთეულები

მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტი იყოფა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად:

1. ქ. სიღნაღის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – ქ. სიღნაღი);
2. ქ. წნორის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – ქ. წნორი);
3. ანაგის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ანაგა);
4. ბოდბის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ზემო ბოდბე, ქვემო ბოდბე);
5. ბოდბისხევის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ბოდბისხევი);
6. ვაქირის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ვაქირი);
7. ილიაწმინდას ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ილიაწმინდა);
8. მაღაროს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: მაღარო);
9. ნუკრიანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ნუკრიანი);
10. საქობოს ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: საქობო, მაშნაარი);
11. ტიბაანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ტიბაანი);
12. ქვემო მაჩხაანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ქვემო მაჩხაანი, ყარაღაჯი, ხირსა, ხორნბუჯი);
13. ძველი ანაგის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ძველი ანაგა);
14. ჯუგაანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ერისიმედი, ჯუგაანი).

ეკონომიკა

ძირითადი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. მუნიციპალიტეტში განვითარებულია მევენახეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა და სხვა.

არის ღვინის ქარხანა და რამდენიმე საოჯახო მარანი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 90 ათასი ჰა., რომელთაგან სახნავ-სათესია 40 ათასი ჰა. ხოლო 50 ათასი ჰა საძოვრებია. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა ტურიზმი.

კულტურა

ღირსშესანიშნაობანი

ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ბოდბის მონასტერი, წმინდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი და საეპისკოპოსო.

სოფელ ვაქირში შემონახულია სამეკლესიანი ბაზილიკა, , რომელიც ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. აქვეა „კვირაცხოველის“ ეკლესია. სოფელ ტიბაანში დგას ხირსის მონასტერი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2020-2026 წლებში

	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
შემოსავლები	17701.4	24865.0	25797.1	14368.0	26430,0	29163,0	31437,0
გადასახადები	7355.4	9326.2	11405.0	13275,4	15580,0	18463,0	19737,0
გრანტები	9839.1	14775.0	13920.5	385,0	8200,0	10000,0	11000,0
სხვა შემოსავლები	506.9	762.9	471.6	707,6	650,0	700,0	700,0
ხარჯები	7387.9	9314.4	13019,5	13575,4	15085,7	16340,8	17644,8
შრომის ანაზღაურება	1623.9	1619.5	2845,8	3290.4	3584,0	3943,0	4337,0
საქონელი და მომსახურება	1028.9	1424.4	1654,8	1707.5	1550,0	1600,0	1600,0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	138.2	121.7	120,6	120,6	120,6	120,6	120,6
სუბსიდიები	3880.1	4712.7	6058,8	7544.8	8207,0	9030,0	9930,0

	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
გრანტები	10.0	16.1	97,2	97,2	97,2	97,2	97,2
სოციალური უზრუნველყოფა	501.3	606.4	735,3	707,5	700,0	700,0	700,0
სხვა ხარჯები	204.8	813.6	1507,0	372.7	826,9	850,0	860,0
საოპერაციო სალდო	10314.5	15550.6	12777,6	509.3	11344,3	12823,0	12982,9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8757.7	9299.7	21775,2	252.8	13625,0	13150,0	14250,0
ზრდა	9624.8	10520.5	24897,2	3484.8	12500,0	13000,0	13100,0
კლება	866.8	1220.8	3122.0	3232,0	1125,0	1150,0	1150,0
მთლიანი სალდო	1556.5	6250.9	-8997,6	256,5	256,5	256,5	256,5
ფინანსური აქტივების ცვლილება	1346.7	6022.4	-9254,1	0.0	0.0	0,0	0,0
ზრდა	1346.7	6022.4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1346.7	6022.4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა		0,00		0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0.0	0,00	9254,1	0,0	0.0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0,0	9254,1	0,0	0.0	0,0	0,0

	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,00	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-208.7	-226.0	-256,5	-256,5	-256,5	-256,5	-256,5
ზრდა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,0
საგარეო	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,0
საშინაო	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,0
კლება	208.7	226.0	256,5	256,5	256,5	256,5	256,5
საგარეო	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,0
საშინაო	208.7	226.0	256,5	256,5	256,5	256,5	256,5
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2020-2022 წლების მოკლე მიმოხილვა

2020 წელს ადგილობრივი და რეგიონალური პროექტების ფონდიდან დაფინანსდა პროექტები, რომელიც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. მოეწყო

საგზაო ინფრასტრუქტურა, ქალაქის ბინათმშენებლობიდან ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო ახალი ჭაბურღილები და წყლის სისტემები, აგრეთვე არებული წყლის სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მიმდინარებს ბოდბის საბავშვო ბაღის მშენებლობა და მიმდინარეობს სხვადასხა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, მაღალმთიან დასახლებაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების გათვალისწინებით მოწესრიგდა შიდა სასოფლო გზები, სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით დამატებით დაიბურღა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭაბურღილებს და სასმელი წყლის სისტემებს. გარემონტდა საბავშვო ბაღები.

ქ. წნორში, ქვ. მაჩხაანში, ჯუგაანში, ხირსა, ყარაღაჯში, ტიბაანში, ილიაწმინდაში, ქვემო ბოდბეში, ზემო ბოდბეში, ზემო მაღაროში მოეწყო გარე განათება, ნუკრიანის ცენტრში არსებულ სკვერს და ანაგაში „ზარიაულის“ ხევთან სკვერს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაშნაარში ნაძვნარის ტერიტორიაზე, ძველ ანაგაში , ბოდბისხევში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, საქობოში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ მოეწყო სკვერი,

ვაქირში სასაფლაოების „კოპალა“ და „კვირაცხოვლის“ ჩაუტარდა კეთილმოწყობის სამუშაოები, ხორნაბუჯში სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოები, შეძენილ იქნა სპორტული ხალიჩა და კრივის მოწყობილობა მაღაროში, ძველ ანაგასა და ხირსაში ჩატარდა ჭაბურღილის და წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა რეაბილიტაცია საქობოში, წნორში საბავშვო ბაღის ეზოებს ჩაუტარდა კეთილმოწყობის სამუშაოები, ხორნაბუჯის საბავშვო ბაღში მოეწყო ატრაქციონი, წნორის პარკის ტერიტორიას ჩაუტარდა კეთილმოწყობის სამუშაოები, ჩატარდა ერისიმედში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები,

სოფელ ხირსის, ძველი ანაგის, საქობოს, ილიაწმინდის, ქვემო მაჩხაანის, ქვემო ბოდბის, ერისიმედის ამბულატორიებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, აშენდა სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო სახმარების რაიონული სამსახურის ტიპიური შენობა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს, ქ. სიღნაღის, ანაგის, საქობოს, ერისიმედის, ვაქირის, ნუკრიანის #2 , ილიაწმინდის, ქვემო ბოდბის, ვაქირის, მაღაროს, წნორის #1, ხირსის, ჩაუტარდათ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სტიქიის პრევნეციის სამუშაოები, ანაგა-ვაქირის ხევზე ნაპირსამაგრი სამუშაოები, სოფელ ანაგაში მთავარანგელოზის ხევზე ნაპირსამაგრი სამუშაოები, სოფელ საქობოში ,,გოდაქნის ხევის„ გაწმენდითი სამუშაოები.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა ნუკრიანში მარტაანთ უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, წნორში ვაჟა-ფშაველას ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სიღნაღში საავტომობილო გზაზე

ასფალტობეტონის მოწყობის ხარჯი, ქვ. მაღაროში კელმეჩურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქვ. მაჩხაანში სკოლის და საბავშვო ბაღის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუსაოები, სოფ. ანაგაში „გალავნის უბნის“ საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. სიღნაღში მოსულიშვილის ქუჩის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, სოფელ ვაქირში „გარაჟების უბნის“ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, სოფელ ვაქირში „ნადაანთ უბნის“ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯი, ბოდბისხევში „კუსრაანთ უბნის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წელს შესრულდა სოფელ ქვ. მაღაროში ,,კელმეჩური''-ს უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მეორე ეტაპი), ,,ნადაანთ'' უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ.ვაქირში ,,გარაჟების'' უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები,“სოფ. ანაგაში ,,გალავნის" უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ჯუგაანში ქვესადგურის უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. მაღაროში ,,ტარზოს" უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ბოდბეში მანგოანების უბნის ს/გზის რეაბილიტაცია, სოფ. ძველ ანაგაში მოასფალტების გარეშე დარჩენილი შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია,სოფელ ქვემო მაჩხაანში ფანიანის დასახლებაში სანიაღვრე არხის მოწყობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების, სკვერების სასმელი წყლის სისტემების, გზისპირა მოსაცდელების, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში და საბავშვო ბაღებში დაგეგმილია სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს შესრულდა სხვადასხვა ინსფრასტრუქტურული სამუშაოები: სიღნაღი-წნორის ს/გზიდან წმინდა ნინოს წყაროსთან მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია, სოფელ ნუკრიანში ,,ჭოტორის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია, სოფელ ანაგაში ,,მთავარანგელოზის“ ხევის გაწმენდა და ნაპირსამაგრი გამბიონის მოწყობა, ქ. წნორში სარაჯიშვილის, ბარათაშვილის, ახმეტელის და ვაჟა მოსულიშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ანაგაში მოასფალტების გარეშე დარჩენილი შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, ქ. წნორში ,,ჭავჭავაძის“, ,,სიხაშვილის“, ,,არსენას“, ,,მეგობრობის“, ,,ფიროსმანის“, ქუჩების სარეაბილიტაციო სამუსაოები, ჯუგაანი-ბოდბისხევის-წნორის ს/გზის რეაბილიტაცია, ქ. სიღნაღში ,,წმინდა ნინოს“ ქუჩაზე პარკინგისა და საყრდენი კედლების მოწყობა, სოფელ ქვემო მაღაროში საავადმყოფოს უბნის სავალი გზის რეაბილიტაცია, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯში შესასვლელი ცენტრალური სავალი გზის რეაბილიტაცია, სოფელ ხირსაში მინი სპორული მოედნის მოწყობა, სოფელ ქვემო მაღაროში სპორული დარბაზის მშენებლობა.

2021 წელს ადგილობრივი და რეგიონალური პროექტების ფონდიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები, სოფ. ზემო მაღაროში ცენტრალური ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები,

ქ. წნორში რუსთაველის ქუჩის ბოლოდან წმ. ნინოს წყაროს გზამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, წნორში დოდაშვილისა და სიღნაღის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, წნორში მოსულიშვილის, სარაჯიშვილის, ახმეტელის, ბარათაშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ნუკრიანში ,,ჭოტორის" უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯუგაანი-ბოდბისხევი-წნორის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ძვ. ანაგში მოასფალტების გარეშე დარჩენილი შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები,

წნორში ფიროსმანის, ჭავჭავაძის, სიხაშვილის, არსენას, მეგობრობის, თამარ მეფის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ხორნაბუჯში შესასვლელი ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები,ქ. სიღნაღში 112-თან მის. გზის, საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის, დადიანის #23 კორპ. ეზო და ჭავჭავაძის #3 სახლთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ქვ. მაღაროში ,,საავადმყოფოს" უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ.სიღნაღის ბულვრის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფ. ბოდბისხევის, ხირსის, საქობოს მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, მაღაროში მოეწყო სპორტული დარბაზი,

2022 წელს ადგილობრივი და რეგიონალური პროექტების ფონდიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები, სოფ. ხორნაბუჯში შესასვლელი ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. სიღნაღში, წმინდა ნინოს ქუჩაზე პარკინგისა და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, ქ. სიღნაღში წმ გიორგის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. სიღნაღში სარაჯიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. სიღნაღში ერეკლი II-ის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. სიღნაღში სასაფლაოს გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფ. ჯუგაანში „დოლაანთ“ უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. მაღაროში „ფოთოლაანთ“ უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. საქობოში ზოია რიხაძის ქუჩის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ნუკრიანში (კალოები) სკოლასთან მისასვლელ გზაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ილიაწმინდაში სასაფლაოს გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფ. ბოდბისხევში საწყობების უბნის გზების რეაბილიტაციის ხარჯი, სოფ. ბოდბისხევში სადალაქოს უბნის გზების რეაბილიტაცია, სიღნაღი-ქვემო მაჩხაანის დამაკავშირებელი ტურისტული საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. მაშნაარში სოფლის ცენტრალური ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯუგაანი-ბოდბისხევი-წნორის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ვაქირში კოპალას სასაფლაოს ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ანაგაში სასაფლაოს (ე.წ. „ღვთისმშობლის“) ს/გზის

სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ანაგაში ბაიდარაანთ უბნის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფ. ტიბაანში სოფლის ბოლოს ს/გზის რეაბილიტაციია.

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტებიდან ფინანსდება ქ. წნორში, ევდოშვილის ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა 1997146 ლარის ღირებულების.

სახელმწიფო პროგრამის ,,განახლებული რეგიონები"-ს დამკიცების ფარგლებში სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითრების ფონდიდან" მუნიციპალიტეტს გამოეყო 594042 ლარი, ქ. სიღნაღში პროექტით განსაზღვრული შენობა-ნაგებობების არსებული იერსახის შენარჩუნების სარეაბილიტაციოდ.

2023 წელს იგეგმება მნიშვნელოვანი პროექტები, რომელიც მოიცავს სოფელ ბოდბეში ბოხორის და ინტერნატის უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სოფელ ბოდბის ცენტრალური გზის რეაბილიტაციას, სოფელ ზემო და ქვემო ბოდბის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას და სოფელ ბოდბეში გონთხევის უბნის რეაბილიტაციაციას 8170,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელებისთვის უზრულველყოფილია გენდერული თანასწორობის ხელმშემწყობი პროგრამები, ამიტომ წინა წლებში და მომავალი წლისთვისაც მნიშვნელოვანია, ბიუჯეტში გაწერილი იყოს პროგრამა ან ქვეპროგრამა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის. მოქალაქეთა ინფორმირება გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და აქტივობისთვის.

პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (0100)
პროგრამის დასახელება:	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა
პროგრამის განმახორციელებელი:	მერია
სულ პროგრამის ბიუჯეტი	32200 ლარი
პროგრამის მიზანი	
მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა;	

მოქალაქეების ინფორმიერება გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით	
პროგრამის აღწერა	
მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება. „გენდერული თანასწორობის საბჭო“ მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების აღსრულებას ხელს უწყობს „გენდერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცე“. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობებისთვის საჭირო ადმინისტრაციული უზრუნველყოფა.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	
მუნიციპალიტეტში შექმნილია პირობები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი - გენდერული თანასწორობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტი მიუხედავად ბიუჯეტის სიმცირისა და გარკვეული პრობლემებისა სისტემატურად მუშაობს რათა მუნიციპალიტეტის სოც-კულტურული, საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურის კუთხით განახორციელოს ისეთი პროექტები, რომლებიც მთლიანად დადებითად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2739.3	2800.5	4906.8	5354,6	6060,0	6665,0	7300,0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	93,4	99,5	141,7	185,0	165,0	180,0	200,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9786.5	12116.3	25052,4	5318,3	25200	25300	25500
განათლება	2444.8	2690.3	4109,7	3247,1	3977.0	4375.0	4800.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1105.5	1445.9	2664,8	2140,5	2035.0	2240.0	2300.0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	751.6	908,6	1185,8	1354,5	1365.0	1500.0	1550.0

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

2020-23-26 წელს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წ პროგნოზი
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	94.3	99.3	141.7	185,0	185,0	185,0	200,0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	94.3	99.5	141.7	185,0	185,0	185,0	200,0

თავდაცვა , საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება (პროგრამული კოდი 02 03):

ა) მიზანი: საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხელშეწყობა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სიღნაღის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება, არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

დ) შედეგების შეფასების ინდიკატორები: საქართველოს სამხედრო ძალებში ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით შევსების მაღალი მაჩვენებელი, ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული თვითშეგნების დონის ამაღლება.

მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ასიგნებები 5318,3 ათასი ლარის ოდენობით (ა/ბიუჯეტის წილი).

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ამავდროულად აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტების ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალურ მეურნეობაში არსებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მისი იერსახის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების

ღონისძიებები. განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი			
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9786,5	12116.3	25069.9	21714.5	22950.0	23240.0	23660.0			
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6946,6	8609.1	17985.4	18000.0	18500.0	18700.0	19000.0			
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2310,9	3273.8	4320.8	3094.5	3830.0	3915.0	4010.0			
03 02 01	ბინათმშენებლობის ღონისძიებები		651.6	1167.3	100,0	110,0	120,0	130,0			
03 02 02	წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	605,8	548.5	474.3	551.0	610,0	620,0	630,0			
03 02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	405,9	473.4	710.5	573.5	580,0	590,0	600.0			
03 02 04	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	853,2	1198.0	1076.6	1150.0	1730,0	1735,0	1750,0			
03 02 06	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები	446,0	402.3	892.1	720.0	800,0	850.0	900,0			
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	223,1	121.9	244,3	245,0	245,0	245,0	250,0			
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	305,9	111.5	374,2	375,0	375,0	380,0	400,0			

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 01) :

ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 00) :

ა.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული უკვე რეაბილიტირებული გზების მოვლა შენახვა, კვლავ გაგრძელდება სოფლის შიდა გზების მოხრეშვა, მოასფალტება. დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია;

ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, ეკონომიკური და ტურისტული ინტენსივობის ზრდა;

ა.დ) შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული და ახალი გზების ზრდა, გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და ტურისტების რაოდენობა.

ბ) მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01 00) :

ბ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მგზავრთა გადაყვანისას მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია ქალაქ წნორიდან სოფელ ილიაწმინდას და ერისიმედის მიმართულებით მარშრუტის მომსახურების თანადაფინანსება. აღნიშნული მომსახურებით უშუალოდ ისარგებლებენ სოფლების: ბოდბის, ილიაწმინდას, ბოდბისხევის, ერისიმედისა და ქალაქ წნორის მოსახლეობა;

ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ადგილობრივი მარშრუტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობა;

ბ.დ) შეფასების ინდიკატორი: მუნიციპალური ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა, გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირება.

2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორცილედება სანიაღვრე არხების, გარე-განათების, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების არსებულის მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02) :

ა.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის და ორგანიზაციების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებსა და ქალაქებში არსებული ჭაბურღილების მომსახურების და მოვლა-შენახვის სამუშაოები;

ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება და მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები;

ა.დ) შეფასების ინდიკატორი: სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

ბ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03) :

ბ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების არსებული ქსელების ექსპლოატაცია;

ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: განათების ინტენსივობა, განათებულ ქუჩებში უსაფრთხო გადაადგილება და კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება;

ბ.დ) შეფასების ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის ქალაქებისა და სოფლების განათებული ქუჩების რაოდენობა.

გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04) :

გ.ა) საკანალიზაციო და წყალსადინარების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 00) :

გ.ა.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება;

გ.ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-მოწესრიგება;

გ.ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გაუმჯობესებული სანიტარული და ეკოლოგიური პირობები;

გ.ა.დ) შეფასების ინდიკატორი: საცხოვრებელი კორპუსებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების ჩამდინარე წყლების მართვა.

გ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 00) :

გ.ბ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

გ.ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქების და სოფლების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ადმინისტრაციული შენობის დაცვა-დასუფთავების ღონისძიებები;

გ.ბ.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;

გ.ბ.დ) შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და დასუფთავებული გარემო.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03) :

ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა, შადრევანის და დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, კეთილმოწყობილი გარემო, მოვლილი, გამწვანებული სკვერები და გაზონები, მოსახლეობის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;

დ) საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები: მოწესრიგებული შადრევნები, მოვლილი გამწვანება სკვერებსა თუ სხვადასხვა რეკრეაციულ ზონებში, რეაბილიტირებული და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განისაზღვროს სიღნაღის მუნიციპალიტეტის განათლების ასიგნებები 3247,1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
განათლება	2444.8	2690,3	4109,7	3247,1	4251,4	4651,4	5010,0
სკოლამდელი განათლება	1707.7	2172,5	2740,0	3120,0	3400,0	3700,0	4100,0
სკოლამდელი განათლების კაპიტალური ხარჯი	115.6	84,8	605,3	0.0	0.0	0.0	0,0
პროფესიული განათლების ხელშეწყობა	71,6	74,8	86,9	127,1	140.0	145.0	150.0
საჯარო სკოლების დაფინანსება	508.9	358,2	677,5		500,0	600,0	750,0

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01) :

ა) მიზანი: საბავშვო ბაღების ფონქციონერებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, სკოლამდელი განათლების ღიაობა და ხელმისაწვდომობა, მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი გარემოს ჩამოყალიბება;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებისა და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება, საბავშვო ბაგა-ბაღების საქმიანობის ხელშეწყობა;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა; საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;

დ) შეფასების ინდიკატორი: სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა; აღსაზრდელთა რაოდენობა.

2. **მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03) :**

ა) მიზანი: თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდისათვის განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდის მიერ საკუთარი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენა, მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების და თანაბარ კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებად სხვადასხვა წრეებში გაერთიანებული 192 მოსწავლისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების ხელფასების დაფინანსება და ხელშეწყობა;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გამოვლინდებიან ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და სკოლები, მოსწავლეების მოტივაციის დონის ამაღლება;

დ) შეფასების ინდიკატორი: სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებულ კონკურსებში წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდების ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) მუნიციპ
სპორტული, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვის და ღირსეული გაგრძელების ღონისძიებების ხელშეწ
რეაბილიტაცია, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუნიცი
ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპ

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანს

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1105,5	1445,9	2664,8	2140,5	2225,0	2300,0	2405,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	300,7	509,5	1089,8	461,1	500,0	550,0	600,0
05 01 01	სპორტული და დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	300,7	509,5	1089,8	461,1	500,0	550,0	600,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	723,5	802,6	1391,9	1471,6	1480,0	1500,0	1550,0
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	723,5	802,6	1391,9	1471,6	1480,0	1500,0	1550,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	46,4	103,8	140,8	167,8	200,0	200,0	200,0
05 05	საინფორმაციო ცენტრი	14,9	10	22,3	20,0	25,0	30,0	30,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20	20,0	20.0	20.0	20.0	20.0	25,0

1. ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 02 02 00) :

ა) მიზანი: პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე, ისე სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერაზე, მათ შორის: სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერაზე, პედაგოგთა ხელშეწყობაზე;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალი სამუსიკო სკოლების 499 მოსწავლის შესაბამისი განათლების მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების დაფინანსებას და ხელშეწყობას, საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერას, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებას;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა და მათი აქტიური ჩართვა შესაბამისი განათლების მისაღებად; მოზარდებში კულტურის დონის ამაღლება, მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში, ხელოვნებისა და ტრადიციების აღორძინება, კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები;

დ) შეფასების ინდიკატორი: ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა, კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა, სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსებში წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

2. ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი“ (პროგრამული კოდი 05 02 01 00) :

ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების განვითარება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება - პოპულარიზაცია;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა და მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარება, ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმის ხელშეწყობა, არსებული ექსპონატების დაცვა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მკითხველის დაინტერესების გზით მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა და მუზეუმების პოპულარიზაცია;

დ) შეფასების ინდიკატორი: ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობის ზრდა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა, მუზეუმებში ვიზიტორთა, მოწყობილი გამოფენებისა და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა.

3. ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა“ (პროგრამული კოდი 05 01 02 00) :

ა) მიზანი: განსაკუთრებული წარმატებების მქონე მოსწავლეების გამოვლენა და წახალისება;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: კომპლექსური სასპორტო სკოლის 600 მოსწავლის შესაბამისი განათლების მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს აღნიშნულ დაწესებულებაში დასაქმებული პედაგოგების დაფინანსებას, სხვადასხვა სპორტული სექციების და კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტსმენებისთვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების განხორციელებას;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

დ) შეფასების ინდიკატორი: წარმატებულ სპორტსმენთა რაოდენობა.

4. ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 00) :

ა) მიზანი: თეატრისა და კულტურის პოპულარიზაცია;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის ,,მრავალჟამიერის“, ბავშვთა ხალხური სიმღერებისა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლების, ასევე კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული თეატრისთვის სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პირობებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით სხვადასხვა გასართობი, სანახაობრივი ღონისძიებები და ქართული ფოლკლორის საღამოები;

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლის ,,მრავალჟამიერის“, ბავშვთა ხალხური სიმღერებისა და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლების სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ქვეყნის გარეთ;

დ) შეფასების ინდიკატორი: ახალი სპექტაკლების რაოდენობის ზრდა და ხარისხობრივი მაჩვენებელი და მუნიციპალიტეტის ხელოვანთა მიღწევები.

5. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03) :

ა) მიზანი: ახალგაზრდა თაობაში შრომის, მართვის უნარ - ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა;

ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ტრენინგ-სემინარები, ფორუმები, სესიები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები და სხვა), შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია (გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები, ფესტივალები, სპექტაკლები და სხვა), ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება (ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სპორტის ექსტრემალური სახეობების კვირეული, სეზონურად სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში შეღავათების დაწესება და სხვა);

გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ხარისხობრივად და თვისობრივად მაღალ დონეზე განხორციელებული პროექტები, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა და ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ზრდა, ახალგაზრდა თაობის აქტიურად ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში;

დ) შეფასების ინდიკატორი: ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა, წარმატებული და ინიციატივიანი ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა, საზოგადოებრივად აქტიური, ინფორმირებული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდობა.

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00)

1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 02) :

ა.ა) მიზანი: სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები;

ა.გ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისგან;

ა.დ) საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები: ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა; პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდეობა.

2. სოციალური პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01) :

ა.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ავადმყოფი მოქალაქეების და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

ა.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ავადმყოფი მოქალაქეების და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ასევე თითოეულ ავადმყოფზე ოპერაციების ხარჯების დაფინანსება 500 ლარამდე.

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02) :

ბ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ბ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მარტოხელა დედების სოციალური დაცვა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარება, ტერიტორიულ მთლიანობისთვის მებრძოლ მეომართა ერთჯერადი დახმარება, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები.

გ) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 03) :

გ.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის მძიმე სოციალური პირობების შემსუბუქება;

გ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა.

დ) ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 04) :

დ.ა) მიზანი: გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ოჯახებისათვის დახმარება, თანაგრძნობის გამოხატვა და პატივის მიგება;

დ.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯების გაღება თითოეული გარდაცვლილის ოჯახზე 250 ლარის ოდენობით.

ე) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05) :

ე.ა) მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის ღონისძიებები;

ე.ბ) განსახორციელებელი ღონისძიებები: გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად ახალდაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე დასახმარებლად თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

ვ) მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;

ზ) შეფასების ინდიკატორი: ბენეფიციართა რაოდენობა.